# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 280

11 სექტემბერი
"___" _____ 2018 წ.

ქ. თბილისი

**ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ზვიად გამსახურდიას სანაპიროსთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის არქიტექტორის ჯოვანი სკუდიერის სახელის მინიჭების შესახებ**

1. საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) მთაწმინდის რაიონში, ზვიად გამსახურდიას სანაპიროსთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს არქიტექტორის ჯოვანი სკუდიერის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ., №6).

**საკრებულოს თავმჯდომარე** **გიორგი ტყემალაძე**

X=483603 Y=4616570
ჯოვანი სკუდიერის ქ.
X=483794 Y=4616397
1:1,800